

**„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს  
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს  
მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების  
შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

## **მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 20/08/2014, 040030000.10.003.018122) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ №14 დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-19 პუნქტით განსაზღვრული სასარგებლო

წილისეულის მოპოვების ლიცენზიის (შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის ჩათვლით) გაცემა დაჩქარებულ ვადებში:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 3 სამუშაო დღეში - 200 ლარი დღგ-ის ჩათვლით;

ბ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 2 სამუშაო დღეში - 300 ლარი დღგ-ის ჩათვლით;

გ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის დღეს - 500 ლარი დღგ-ის ჩათვლით.

- შენიშვნა: ამ დანართის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა მოთხოვნა (თანდართულ გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად) დარეგისტრირდეს სამუშაო დღის 12<sup>00</sup> საათამდე.“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი